საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის

საქართველოს ეროვნული პლატფორმა ბათუმში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება

საქართველოს ეროვნული პლატფორმა შეშფოთებულია 31 ივლისს, ქ. ბათუმში განვითარებული მოვლენებით და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების პატივისცემისაკენ მოუწოდებს.

ბათუმში საზოგადოების პროტესტი მეორე რუსული კრუიზის შემოსვლას მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნავსადგურის მიმდებარედ შეკრებილ მოქალაქეებს ადგილზე მობილიზებული პოლიცია არ აძლევდა პროტესტის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას და სხვა საშუალებებთან ერთად იყენებდა აქციის მონაწილეების დაკავების პრაქტიკას. დროის სხვადასხვა მონაკვეთში დაკავებულთა რაოდენობამ 20-ს გადააჭარბა. ცალკეულ შემთხვევებში პოლიციის მიერ დაკავებულთა მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შესაძლო ფაქტებს სახალხო დამცველიც გამოეხმაურა. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულების ადვოკატებს არ აძლევდა მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას, რაც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევას წარმოადგენს. მსგავსი პრაქტიკა მიუღებელია და წარმოშობს არასათანადო მოპყრობის რისკებს.

მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს და არ შეუშალოს ხელი მოქალაქეებს, თავისუფლად გამოხატონ მშვიდობიანი პროტესტი.